საჩივრების მექანიზმი

SG/E/2025/11

რუსთავი-წითელი ხიდის მონაკვეთი E-60 (საქართველო)

დავების გადაწყვეტის ანგარიში

31 მარტი 2026

European Investment Bank | Group

SG/E/2025/11
რუსთავი-წითელი ხიდის მონაკვეთი E-60 (საქართველო)
დავების გადაწყვეტის ანგარიში

კონფიდენციალური საჩივარი: არა

გარე გავრცელება

მომჩივანი
პრომოუტერი
გამოქვეყნდება საჩივრების მექანიზმის ვებგვერდზე

შიდა გავრცელება[1]

გენერალური ინსპექტორი
EIB-ის შესაბამისი სერვისები

პასუხისმგებლობის უარყოფა

წინამდებარე ანგარიში ეფუძნება EIB-ის ჯგუფის საჩივრების მექანიზმის 2025 წლის 31 ოქტომბრამდე არსებულ ინფორმაციას.

ენობრივ ვერსიებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, ინგლისურ ვერსიას ექნება უპირატესობა.

[1] გარდა ამისა, საჩივრების მექანიზმი რეგულარულ ანგარიშგებაში აცნობებს მმართველობით კომიტეტს დავების გადაწყვეტის ანგარიშის გაცემის შესახებ.

ევროპის საინვესტიციო ბანკის ჯგუფის საჩივრების მექანიზმი

ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) ჯგუფის საჩივრების მექანიზმი (საჩივრების მექანიზმი) არის საჯარო ანგარიშვალდებულების ინსტრუმენტი, რომელიც განიხილავს საზოგადოების წევრების საჩივრებს, რომლებზეც ზეგავლენა იქონია, ან გრძნობენ, რომ ზეგავლენა იქონია ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) გადაწყვეტილებებმა, ქმედებებმა ან უმოზმედობამ. საჩივრების მექანიზმის ერთ-ერთი მთავარი მიზანია უზრუნველყოს საზოგადოების მოსმენისა და საჩივრის უფლება. საჩივრების მექანიზმი არ არის სამართლებრივი აღსრულების მექანიზმი და არ ჩაანაცვლებს კომპეტენტური სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებას.

გარემოსდაცვით და სოციალურ ზემოქმედებასთან დაკავშირებით დასაშვები საჩივრების მექანიზმის მუშაობა იწყება საწყისი შეფასების ფაზით. ამ ფაზაში საჩივრების მექანიზმი განსაზღვრავს, საჭიროა თუ არა შემდგომი მუშაობა და უნდა გადავიდეს თუ არა საჩივარი შესაბამისობის განხილვაზე თუ დავის ერთობლივი გადაწყვეტის პროცესზე. ამ უკანასკნელის მიზანია დავის მოგვარება (i) უკეთესი და საერთო გაგების მიღწევით, (ii) მხარეებს შორის ნდობის ხარისხის გაუმჯობესებით და (iii) საერთო შეთანხმებული გადაწყვეტის იდენტიფიცირების გზით.

მომჩივანებს, რომლებიც არ არიან კმაყოფილი EIB-ის პასუხით მათ საჩივარზე, შეუძლიათ შეიტანონ საჩივარი ევროპის საინვესტიციო ბანკის წინააღმდეგ არასწორი ადმინისტრირების შესახებ ევროპულ ომბუდსმენთან.[2]

საჩივრების მექანიზმის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ:
https://www.eib.org/en/about/accountability/complaints/index.htm.

[2] ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.europa.eu/en/home. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ევროპის საინვესტიციო ბანკის ჯგუფის საჩივრების მექანიზმის პოლიტიკა 2018 წლის ნოემბერით, მუხლები 4.5.1-4.5.5.

შინაარსი

აღმასრულებელი რეზიუმე 1

1 პროექტი 2

2 საჩივარი 2

3 პირველადი შეფასება 2

4 დავების გადაწყვეტის პროცესი 3

5 შედეგები 4

რეზიუმე

საჩივრების მექანიზმმა მიიღო საჩივარი საქართველოში E-60 რუსთავი-წითელი ხიდის მონაკვეთის გზის პროექტის შედეგად დაზარალებული პირისგან. საჩივარი ეხება პროექტის უარყოფით სოციალურ ზემოქმედებას მომჩივანის ქონებასა და საარსებო წყაროზე. დავების გადაწყვეტის ერთობლივი პროცესის მეშვეობით, რომელსაც ხელი შეუწყო საჩივრების მექანიზმმა, მომჩივანმა და პასუხისმგებელმა საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მიაღწიეს მორიგებას. ამ დიალოგმა გააუმჯობესა კომუნიკაცია მხარეებს შორის და მათ საშუალება მისცა შეთანხმდნენ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ეხება წამოჭრილ ძირითად პრობლემებს, მათ შორის მიწისქვეშა გადასასვლელს, რომელიც აკავშირებს მომჩივანის საკუთრებაში არსებულ ორ მიწის ნაკვეთს.

ეს ანგარიში აღნიშნავს საჩივრის დახურვას. ის უზრუნველყოფს დავის გადაწყვეტის პროცესში მონაწილე მხარეებს, საინვესტიციო ბანკს და დაინტერესებულ საზოგადოებას ინფორმაციით დავების გადაწყვეტის პროცესის ზოგადი შედეგების შესახებ. მასში ასევე აღწერილია მიღებული საჩივარი და საჩივრების მექანიზმის მიერ გაწეული სამუშაოები.

1 პროექტი

1.1 2018 წლის 30 ნოემბერს ევროპის საინვესტიციო ბანკის (**EIB**) დირექტორთა საბჭომ დაამტკიცა ჩარჩო სესხი – Georgia Transport Connectivity II – საქართველოს საავტომობილო ქსელის მშენებლობისა და განახლებისთვის.[3] 2021 წლის 24 თებერვალს ევროპის საინვესტიციო ბანკის დირექტორთა საბჭომ დაამტკიცა E-60 რუსთავი-წითელი ხიდის მონაკვეთის დაფინანსებისთვის 150 მილიონი ევროს გამოყოფა ზემოაღნიშნული ჩარჩო სესხის (პროექტი) ფარგლებში.[4] მსესხებელი არის საქართველოს სახელმწიფო და პროექტს ახორციელებს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, რომელიც წარმოადგენს ინფრასტრუქტურის სამინისტროს (**პრომოუტერი**) ნაწილს.

1.2 პროექტი უზრუნველყოფს ახალი გზის მშენებლობას ერთი მხრივ რუსთავსა და მეორე მხრივ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სასაზღვრო გადასასვლელს შორის სახელწოდებით წითელი ხიდი, რომლის საერთო სიგრძე დაახლოებით 32 კმ-ია. სამშენებლო სამუშაოები სავარაუდოდ 2026 წლის ბოლოს დაიწყება.

2 საჩივარი

2.1 2025 წლის 14 ივლისს, საინვესტიციო ბანკის ჯგუფის საჩივრების მექანიზმმა (**საჩივრების მექანიზმი**) მიიღო საჩივარი ინდივიდისგან (**მომჩივანისგან**), რომელიც წუხილს გამოთქვავდა პროექტის სოციალურ ზემოქმედებაზე მის ქონებასა და საარსებო წყაროზე. მომჩივანის მიწის ნაწილი, რომელიც გამოიყენება პირუტყვის საძოვრებისთვის, მდებარეობს პროექტის განლაგებაში და, შესაბამისად, ექვემდებარება უნებლიე შეძენას. მიწის ნაკვეთი ჩამორთმეული იქნა სასამართლოს გადაწყვეტილებით 2025 წლის მარტში. პროექტი მომჩივანის დარჩენილი მიწის ნაკვეთს ორად ყოფს.

2.2 მომჩივანმა წუხილი გამოთქვა ჩანაცვლებითი მიწის არარსებობის, არასაკმარისი ფულადი კომპენსაციის, პირუტყვის საძოვრებისთვის განკუთვნილი მიწისქვეშა გადასასვლელის არარსებობისა და პირუტყვის უსაფრთხოების რისკის შესახებ. მომჩივანმა მოითხოვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაუმჯობესება და, ჩანაცვლებითი მიწის შესაძლებლობა ან, ალტერნატიულად, ადეკვატური ფულადი კომპენსაცია, ისევე როგორც საარსებო წყაროს აღდგენა. მოთხოვნა მოიცავდა პირუტყვის საძოვრების ხელმისაწვდომობას მიწის ორივე ნაწილზე, რომელიც გაყოფილ იქნა ორ ნაწილად პროექტის შედეგად.

3 პირველადი შეფასება

3.1 საჩივრების მექანიზმმა ჩაატარა პირველადი შეფასება მომჩივანის მიერ წამოჭრილი საკითხების გასაგებად და იმის დასადგენად, იყო თუ არა საჭირო საჩივრების მექანიზმის შემდგომი მუშაობა. მან შეაფასა, შესაძლებელი იქნებოდა თუ არა საკითხების მოგვარება ურთიერთშეთანხმებით. 2025 წლის სექტემბერში საჩივრების მექანიზმმა განახორციელა

[3]ჩარჩო სესხის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: Georgia Transport Connectivity II.

[4]პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ აქ: E-60 რუსთავი-წითელი ხიდის მონაკვეთი.

შეფასების მისია საქართველოში, რომლის დროსაც ცალკეული შეხვედრები გამართა მომჩივანთან და პრომოუტერთან (**მხარეებთან**).

3.2 მომჩივანისა და პრომოუტერის მზადყოფნის გათვალისწინებით, ითანამშრომლონ ორმხრივად მისაღები გადაწყვეტილებების მისაღწევად, საჩივრების მექანიზმმა შესთავაზა დავების გადაწყვეტის ერთობლივი პროცესის გაგრძელება, როგორც ეს აღწერილია თავდაპირველ შეფასების ანგარიშში.[5]

4 დავების გადაწყვეტის პროცესი

4.1 მომჩივანსა და პრომოუტერს შორის დავის გადაწყვეტის ერთობლივი პროცესი გაგრძელდა სამი თვე, 2025 წლის ოქტომბრიდან დეკემბრამდე. დიალოგს ხელი შეუწყო საჩივრების მექანიზმმა, ადგილობრივი ფასილიტატორისა და თარჯიმნის მხარდაჭერით, რომლებსაც ერთობლივად უწოდებენ ფასილიტაციის გუნდს.

4.2 მრავალი ინდივიდუალური შეხვედრის გარდა, ფასილიტაციის გუნდმა 2025 წლის ოქტომბერში ჩაატარა ერთობლივი დიალოგის სესია მომჩივანსა და პრომოუტერს შორის. ერთობლივი სესიების დაწყებამდე ფასილიტაციის ჯგუფი ცალ ცალკე შეხვდა მხარეებს, რათა მოემზადებინათ ისინი დიალოგისთვის, დაწმუნებულიყო რომ მათ ესმით პროცესი და შეექმნათ კონსტრუქციული და უსაფრთხო გარემო.

4.3 დიალოგის დროს პრომოუტერმა და მომჩივანმა განიხილეს ძირითადი საკითხები, მათ შორის მომჩივნის მიერ წამოჭრილი საგზაო გადასასვლელის, უსაფრთხოებისა და მიწის კომპენსაციის შესახებ.

მიწის ნაკვეთზე წვდომა

4.4 მხარეები შეთანხმდნენ, რომ პრომოუტერი უზრუნველყოფს მიწისქვეშა გადასასვლელის მშენებლობას, რომელიც დააკავშირებს მომჩივანის საკუთრებაში არსებულ ორ მიწის ნაკვეთს. მიწისქვეშა გადასასვლელი შექმნის პირუტყვისა და სატრანსპორტო საშუალებების გავლის საშუალებას.

4.5 მხარეები შეთანხმდნენ, რომ სამშენებლო სამუშაოების განხორციელებაზე პასუხისმგებელი კონტრაქტორი და ზედამხედველობის კონსულტანტის შერჩევის შემდეგ, პრომოუტერი ორგანიზებას გაუწევს მათ შეხვედრას მომჩივანთან, რათა განიხილონ მშენებლობის გრაფიკი და სამშენებლო სამუშაოების პოტენციური გავლენა მიწაზე, მათ შორის დროებითი წვდომის საჭიროებები.

უსაფრთხოება

4.6 პრომოუტერმა მომჩივანს აცნობა, რომ გზის მთელ სიგრძეზე დამონტაჟდება დამცავი ღობე, რათა პირუტყვის გზატკეცილზე გადასვლა თავიდან იქნას აცილებული.

ჩამორთმეული მიწის კომპენსაცია

4.7 2025 წლის მარტში მიწის ჩამორთმევის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ, მომჩივანმა დაიწყო შემდგომი სასამართლო პროცესი კომპენსაციის გაზრდის მოთხოვნით. 2025 წლის დეკემბერში, დიალოგის პროცესის დროს, მხარეები შეთანხმდნენ, რომ

[5] 2025 წლის 5 ნოემბრით დათარიღებული პირველადი შეფასების ანგარიში.

მომჩივანს შეეძლო სასამართლოში მიმდინარე სარჩელის წარდგენა. 2026 წლის მარტში მხარეებს შორის მოლაპარაკება კვლავ მიმდინარეობს სასამართლო პროცესში და მომჩივანმა გამოხატა მზაობა უარი თქვას ყველა სასარჩელო მოთხოვნაზე სასამართლოში მორიგების პროცესის დასრულების შემთხვევაში.

4.8 მხარეები ასევე შეთანხმდნენ, რომ თუ მომჩივანი გადაწყვეტს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიმდებარე მიწის შეძენას, პრომოუტერი არ გამოხატავს წინააღმდეგობას იმ პირობით, რომ მიწა არ იქნება რაიმე სტრატეგიული მახასიათებლების ან ელემენტის მატარებელი, რაც აუცილებელია გზის უსაფრთხო ექსპლუატაციისთვის.

კომუნიკაცია

4.9 მხარეები შეთანხმდნენ, რომ სამუშაოების განხორციელებაზე პასუხისმგებელი კონტრაქტორის იდენტიფიცირების შემდეგ, პრომოუტერი მომჩივანს მიაწვდის კონტრაქტორის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრის საკონტაქტო ინფორმაციას. თუ მომჩივანი ვერ შეძლებს კონტრაქტორისგან თავის შეკითხვებზე ან შეშფოთებაზე პასუხის მიღებას მშენებლობის პერიოდში, მას შეუძლია დაუკავშირდეს პრომოუტერის დანიშნულ წარმომადგენელს.

5 შედეგები

5.1 საჩივრების მექანიზმი მადლობას უხდის მხარეებს დავის გადაწყვეტის პროცესში აქტიური და კონსტრუქციული მონაწილეობისთვის. შეთანხმებულმა დიალოგმა მხარეებს საშუალება მისცა მნიშვნელოვნად გაეუმჯობესებინათ კომუნიკაცია და შეთანხმებულიყვნენ წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტაზე, რითაც დავის გადაწყვეტის პროცესი მხარეთა კმაყოფილებით დასრულდა. ამის საფუძველზე, საჩივრების მექანიზმი ხურავს საჩივარს.

5.2 მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, საჩივრების მექანიზმი მონიტორინგს გაუწევს ქმედებების განხორციელებას.